პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი შაბათი 15 აგვისტო № 188 (18130) ფასი 2 კაპ.

საუმჯობესო გამოარჩინა

პარტიული მუშაკი

ახლახან სომხეთის კომპარტიის რაზდანის რაიკომის პირველ მდივანს მ. არუთინიანს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. სპეციალობით ჩამომხსნელმა მ. არუთინიანმა 24 წელი იმუშავა „სომხეთელექტროკარხანაში", გაიარა იქ გზა რიგითი ინჟინრიდან მთავარ მეტალურგამდე. შემდეგ იყო რესპუბლიკის ერთ-ერთი ახალგაზრდა საწარმოს — ჩარენცავანის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის დირექტორი. აქ კიდევ უფრო განმტკიცდა მისი ორგანიზატორული ნიჭი. პატივისცემით იხსენიებენ კომუნისტები, რაიონის მცხოვრებნი პირველ მდივანს, იგი მათ შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

პარტიული მუშაკი... ბევრი თვისებით უნდა იყოს იგი დაჯილდოებული. რა თქმა უნდა, მათ თაროებზე ვერ ჩამოამწკრივებ: ეს უფრო ძვირფასი თვისებაა, ეს კი ნაკლებო. ნამდვილი პარტიული მუშაკი ადამიანთა წინაშე წარდგება როგორც მთლიანი და არაჩვეულებრივი პიროვნება. მასში გაერთიანებულია კომუნისტური იდეურობა და ფართო გონებრივი ჰორიზონტი, ფერგილიანობა და კომპეტენტურობა, მორალური სიწმინდე და შეურიგებლობა ნაკლოვანებებისადმი. მისთვის უცხოა თვითკმაყოფილება და ყოყოჩობა, გულგრილობა და ახლის შიში. ასეთია ათეთასობით პარტიული მუშაკის საქმიანი და ზნეობრივი სახე, რომლებიც დაუფლებული არიან ხელმძღვანელობის ლენინურ მეთოდებსა და სტილს.

უკანასკნელი წლების მანძილზე პარტიულ სამუშაოზე აქტიურად აწინაურებენ სახალხო მეურნეობის სპეციალისტებს. ახლა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, საქმხარეთ და საოლქო კომიტეტების მდივანთა, სამ მეოთხედს, საკავლაკო და რაიონული კომიტეტების მდივანთა ორ მესამედს საინჟინრო-ტექნიკური, ეკონომიკური ან სახოფლო-სამეურნეო განათლება აქვთ. გაიზარდა სპეციალისტთა რიცხვი კომიტეტების აპარატში. და ეს დადებით გავლენას ახდენს პარტიული ხელმძღვანელობის დონეზე, იგი სულ უფრო კონკრეტული და კვალიფიციური ხდება.

მაგრამ არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ წარმოებიდან პარტიულ ორგანოებში მოსულ სპეციალისტთა ნაწილს თავდაპირველად არა აქვს საკმაო პოლიტიკური გამოცდილება, ზოგჯერ თან მოჰყვება ადმინისტრაციულ-სამეურნეო მეთოდები. საჭიროა, აღინიშნა სკკპ XXVI ყრილობაზე, ავამაღლოთ ამ ამხანაგების პოლიტიკური მომზადება, დავეხმაროთ მათ შესაბამისი ჩვევების შეძენაში.

ამ მიზნით კვლავაც უნდა სრულვყოთ კადრების სწავლების სისტემა, ვიზრუნოთ მათი კვალიფიკაციის ზრდისათვის. ამასთან არ კმარა სწავლა, ვთქვათ, პარტიულ სკოლაში. სწავლა უნდა განვაგრძოთ ცხოვრების სკოლაში, კარგად გავეცნოთ ადამიანებს, რათა პირადი მაგალითით ვიცოდეთ, თუ რით ცხოვრობენ მუშები, გლეხები, ინტელიგენცია, რა აწუხებთ მათ. საჭიროა, რომ სწორედ ასეთ სკოლას გადიოდეს, როგორც წესი, ყველა კომუნისტი, რომლებიც პარტიულ სამუშაოზე დაწინაურების რეზერვს შეადგენენ.

მახებთან მუდმივი ცოცხალი კავშირის განმტკიცებისათვის, მათი ინტერესების, საზოგადოებრივი ცხოვრების, შრომისა და ყოფის საჭიროებოროტა საკითხების ღრმა შესწავლისათვის საჭიროა უაღრესად ყურადღებით ვეკიდებოდეთ მშრომელთა წინადადებებს, კრიტიკულ შენიშვნებს, წერილებს, ეს თითოეული პარტიული კომიტეტისა და თითოეული მისი მუშაკის უშუალო და უაღრესად მნიშვნელოვანი მოვალეობაა.

როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, პარტიული მუშაკის ადამიანური ვალი და პროფესიული მოვალეობაა „მუდამ ახსოვდეს ადამიანები". „მათთან ურთიერთობა, — აღნიშნავდა „ლენინური ნებანი" ფურცელზე, — მუდამ აუცილებელია. იგი ამდიდრებს პარტიულ მუშაკს, განამტკიცებს მის კავშირს ცხოვრებასთან, ეხმარება, ახე ვთქვათ, პირველწყაროდან გაიგოს ადამიანთა ფიქრები, ინტერესები, საჭიროებანი და, ბოლოს, უბრალოდ სასიამოვნოა გაიცნო კარგი ადამიანი... პირადად მე არასოდეს ვიშურებდი დროს საამისოდ, და თვით პარტიული და პოლიტიკური მუშაობის ასპათიც, სახეგნიერად, ხელს უწყობს ამას".

მთავარია გაუგო ადამიანებს და გახადები იყო მათთვისაც, შეგეძლოს მათი დარწმუნება, გაყოლიება. პარტიული მუშაკისაგან მოელიან კომპეტენტურ მსჯელობას, პრინციპულ მიდგომას ყოველი საკითხისადმი, ელიან პრაქტიკულ დახმარებას დასახულ ღონისძიებათა რეალიზაციაში, ახლის, პროგრესულისათვის ენერგიულ მხარდაჭერას. დაყრდნობა მასებზე, კადრების შერჩევა და აღზრდა, შესრულების შემოწმება — ეი პარტიული მუშაკის მეცადინეობის ეფექტიანობის აუცილებელი პირობები.

ჩვეულებრივ სწორედ ახე მოკმედებს პარტიულ მუშაკთა უმრავლესობა. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა არა. მაგალითად, პარტიის სურენბიანო-პრუდსკოეს (მოსკოვის ოლქი) რაიკომის ამას წინათ გამართულმა პლენუმმა ორგანიზატორულ მუშაობაში ხერხოსული ხარვეზებისათვის მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ა. გოგონი, რომელიც სოფლის მეურნეობის საკითხებს განაგებდა. სამი წლის მდივნობის განმავლობაში მან ვერ შეძლო ჩასწვდომოდა დარგის საქმეებს, არსებითად იფარგლებოდა ცნობების „შესწავლით". მას ოშეიათად ხედავდნენ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, პირველადან პარტიულ ორგანიზაციებში, და თუ თვალს მოჰკრავდნენ ხოლმე, მისგან ყოველთვის ესმოდათ: „აბა, თქვენ იცითო".

განა საჭიროა იმის თქმა, რომ პოლიტიკური ხელმძღვანელობა შეუწყნარებელია ადმინისტრირებასთან. ბრძანებლური კილო, ადამიანთა აზრის უგულებელყოფა საერთოდ მიუღებელია კომუნისტებისათვის. ამხანაგისათვის დროზე შენიშვნის მიცემა არა პარტა ზემდგომი ორგანოების, არამედ უწინარეს ყოველისა იმათი მოვალეობაა, ვინც მის გვერდით შრომობს.

ყოველი რანგის პარტიული მუშაკის ხიმწოფე და გერგილიანობა მეტწილად ყალიბდება იმ ატმოსფეროში, რომელიც პარტიული კომიტეტის აპარატშია შექმნილი. აქ ამხანაგური მომთხოვნელობა შეჩამებული უნდა იყოს ჯარუნვასთან თითოეულის ინიციატივის და დამოუკიდებლობის განვითარებისათვის. როგორც „პრავდის" ფურცლებზე ეწერა, „ეს ეხება მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის ტემაზე გაზეთში გამოქვეყნებული სტატიებიდან ზოგან პარტიული კომიტეტების მუშაკთა დროის ფასის განხილვას,

მოსაზრებები, ფინალადები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წინ

მცენარე ნიადაგზე ხარობს...

ჩაის პლანტაციების მწკრივთაშორისებში ნიადაგის გაუმჯობესების გზები

მეჩაიეობის განვითარება ჩვენს რესპუბლიკაში ღრმა, მეცნიერულ საფუძვლებზეა დამყარებული, რაც უზეი მოსავლის მიღების უმნიშვნელოვანესი პირობაა. ჩაის მოსავლიანობა წლითიწლობით მატულობს. შარშან ქართველმა მეჩაიეებმა მოკრიფეს 502 ათასი ტონა ნედლეული.

მიღწევების შენარჩუნების, გაძმკიცებისა და გაზრდისათვის საჭიროა ყოველი ჰექტარი ჩაის პლანტაცია უზვმოსავლიანი იყოს, იძლეოდეს შესაძლებლობის მაქსიმუმს. თუ ამ თვალსაზრისით ვიმსჯელებთ, მიღწევებთან ერთად არის სერიოზული ნაკლოვანებები, რომლებსაც აქედანვე განსაკუთრებით ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ და ნაკლი რაც შეიძლება მოკლე დროში აღმოვფხვრათ, შევიმუშაოთ მათ წინააღმდეგ ბრძოლის მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებები. საქმე ეხება საქართველოს ჭარბტენიან ზონაში ჩაის ბუჩქის დაკნინებისა და მოსავლიანობის შემცირების საკითხს. სწორედ ამის გამო იყო, რომ რამდენიმე ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაცია ჩამოიწერა.

შექმნილი მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე სპეციალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ზოგან პლანტაციების გაშენებისას ზუსტად არ იცავენ აგროტექნიკურ წესებს. ზოგან სინენიერო-სამელიორაციო და მოსწორება-მოშანდაკების სამუშაოები უხარისხოდ შესრულდა. პლანტაციები გაშენებული იყო შეუფერებელ ნიადაგებზე. ამასთან, წლების მანძილზე არსებულ სადრენაჟო ქსელს სათანადოდ ვერ უვლიდნენ, არ იცავდნენ სამეცნიერო დაწესებულებების მიერ მიცემულ რეკომენდაციებს, უხარისხოდ სრულდებოდა მიმდინარე სამუშაოები.

ამიტომ სავალალო შედეგი კანონზომიერად მიგვაჩნია. სხვაგვარად ვერც იქნებოდა. სანამ აღნიშნული ნაკლოვანებანი მოხდებოდა, ეს ეს ... ...

ოფიციალური განყოფილება

მიწების მელიორაციის კომპლექსური პროგრამის შესახებ

საკავშირო ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „1981-1985 წლებში მიწების მელიორაციის განვითარების კომპლექსური პროგრამის შესახებ".

როგორც დადგენილებაშია აღნიშნული, მიწების მელიორაციის ღონისძიებანი, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1966 წლის მაისისა და მომდევნო პლენუმების, პარტიის ყრილობების გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებების შესაბამისად ხორციელდება, ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას, მასზე გავლენა და ამინდის სხვა არახელსაყრელი პირობების გავლენის შესუსტებას.

იმ მიზნით, რომ უთუოდ შესრულდეს სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული სარწყავი და დაშრობილი მიწების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების ამოცანები და განხორციელდეს სასურსათო პროგრამა, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხილობოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის სამინისტროს, სსრ კავშირის „საკასხოფლტექნიკის", ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და წყალსამეურნეო ორგანოებს დაავალეს უზრუნველყონ, რომ 1981-1985 წლებში ამ მიწებზე მნიშვნელოვნად გაიზარდოს საფურაჟე მარცვლის, განსაკუთრებით სიმინდისა და სოიის წარმოება. კიდევ უფრო განვითარდეს მეცხოველეობის საკვები ბაზა, რისთვისაც შეიქმნას საკვების საწარმოო სპეციალიზებული მეურნეობანი, გადიდდეს ბოსტნეულის, შაქრის ჭარხლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის წარმოება.

მოკავშირე რესპუბლიკებს დაუწესდათ დავალებანი, კონკრეტულად რა მოცულობის მემცენარეობის ძირითად სახეობათა პროდუქცია უნდა აწარმოონ სარწყავ მიწებზე.

მეთერთმეტე ხუთწლედში გათვალისწინებულია საექსპლოატაციოდ გადაეცეს 7,4 მილიონი ჰექტარი სარწყავი და დაშრობილი მიწები, შესრულდეს დიდი მოცულობის სხვა სამელიორაციო სამუშაოები. დასახული პროგრამის განსახორციელებლად ხუთწლეულში გამოიყოფა სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი 40,4 მილიარდი მანეთის ოდენობით, რაც 19 პროცენტით მეტია მეათე ხუთწლედთან შედარებით.

გათვალისწინებულია უზრუნველყოფილ იქნეს მიწების მელიორაციის და მათი სასოფლო-სამეურნეო ათვისების სამუშაოთა კომპლექსური მოწყობა, გამოეყოთ მეურნეობებს ამ მიზნით ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, სატრანსპორტო სამუშაოებანი, მინერალური სასუქი, მცენარეთა დაცვის ქიმიური და ბიოლოგიური საშუალებანი მიზნობრივი დანიშნულებისამებრ. შეიქმნას მელიორირებული მიწებზე სპეციალიზებული მეურნეობებიც, განყოფილებები, ბრიგადები, რგოლები პროდუქციის საწარმოებლად, გაუმჯობესდეს და განვითარდეს სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოები სამელიორაციო სისტემათა მშენებლობისა და სარწყავი და დაშრობილი მიწების გამოყენებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების დაჩქარების მიზნით.

საჭიროდ არის მიჩნეული გაჩაღდეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სოფლის და წყალთა მეურნეობის საწარმო-ორგანიზაციათა კოლექტივების საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება მელიორირებული მიწების გამოყენების ეფექტიანობის ასამაღლებლად.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს წინადადება მიეცათ გააძლიერონ საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების უყურადღება მიწების მელიორაციის ამოცანების გადაწყვეტისადმი, აამაღლონ მათი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის დონე.

სწრაფად და ეკონომიურად

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს საწარმოებში შეიქმნას ასაწყობ შენობათა (მოდულთა) წარმოება, და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

აღნიშნულ სამინისტროს დავალება უზრუნველყოს, რომ დაამზადონ და სამრეწველო საწარმოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მიაწოდონ მსუბუქ ლითონკონსტრუქციათა ასაწყობი შენობები (მოდულები) საჭირო სანიტარიულ-ტექნიკურ მოწყობილობასთან, გათბობა-განათების სისტემებთან ერთად. ეს ასაწყობი შენობები გამოიყენება სახურსათო და ხილეულეულის პროდუქციის და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და გამოშვების გადიდებისათვის.

გათვალისწინებულია შესაბამისი ღონისძიებანი, რომ უზრუნველყონ აღნიშნულ შენობათა წარმოება მასალა-მოწყობილობით, შეიმუშაონ შენობათა ტიპობრივი პროექტები, აგრეთვე გადაწყვიტონ დადგენილების შესრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

გავაუმჯობესოთ კადრების მომზადება წარმოებას მოუნყვეტლივ

სსრ კავშირის მთავრობამ მიიღო დადგენილება „უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტთა წარმოების მოუწყვეტლივ მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ".

იმის გამო, რომ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად დაუსწრებელი და საღამოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების შემდგომ განვითარებას და გაუმჯობესებას დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის უზრუნველსაყოფად მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, აგრეთვე შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის, — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს განახორციელონ მთელი რიგი ღონისძიებანი, რათა საქვეუწყებო სასწავლებლებში უზრუნველყონ დაუსწრებელი და საღამოს სწავლების განყოფილებებზე კადრების მომზადების ხარისხის ყოველმხრივი გაუმჯობესება, განავითარონ სახალხო პროცესისა და წარმოების კავშირი, გააფართოონ ამ ფორმების სპეციფიკის გათვალისწინებით სწავლების ახალი მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება. დასახულია წინადადება აგრეთვე განხორციელდეს ღონისძიებანი, რათა გაძლიერდეს დაუსწრებელი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების როგორც წარმოებას მოუწყვეტლივ სწავლების სამეცნიერო-მეთოდიკური ცენტრების როლი.

სამინისტროებსა და უწყებებს, საწარმო-ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს დაევალათ ხელი შეუწყონ წარმოებას მოუწყვეტლივ მოსწავლე მშრომელ ახალგაზრდობას პროფესიული ცოდნისა და ჩვევების დაუფლებაში, შეუქმნან მას სწავლის ყველაზე ხელშემწყობი პირობები. გათვალისწინებულია განხორციელდეს ღონისძიებანი, რათა უფრო სრულად უზრუნველყოთ სტუდენტები და მოსწავლეები ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოებით.

მიმდინარე ხუთწლედში დასახულია გადიდდეს უმაღლეს სასწავლებლებში და ამ სასწავლებლებთან არსებულ მოსამზადებელ განყოფილებებზე წარმოებას მოუწყვეტლივ სასწავლებლად მიღება.

სამრეწველო ნიმუშების დებულება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დამტკიცა სამრეწველო ნიმუშების დებულება, რომელიც აწესრიგებს სამრეწველო ნიმუშების შემუშავებასთან, სამართლებრივ დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებით წამოჭრილ ორგანიზაციულ; ქონებრივ, პირად არაქონებრივ და შრომითს ურთიერთობას.

აღნიშნული დებულების თანახმად სამრეწველო ნიმუშად ჩაითვლება ნაწარმის ახალი მხატვრულ-კონსტრუქტორული გადაწყვეტა, რომელიც განსაზღვრავს მის გარეგან სახეს, შეესაბამება ტექნიკური ესთეტიკის მოთხოვნებს, ეარგისია სამრეწველო წესით გამზრდელებისათვის და დადებითი ეფექტი მოაქვს.

დებულებით დადგენილია სამრეწველო ნიმუშის მოწმობის ან პატენტის გაცემაზე განაცხადის შედგენის, ჩაბარებისა და განხილვის წესი. განსაზღვრულია სამრეწველო ნიმუშების სამართლებრივი დაცვის ღონისძიებანი, მათი ავტორების უფლება-შეღავათები, გათვალისწინებულია უნაზღაურებელი ნაგებობები ამ დარგში მუშაობის ორგანიზაციისადმი.

დებულება სამოქმედოდ იქნება შემოღებული 1982 წლის 1 იანვრიდან. (საკლესი).

ფაქტები • მოვლენები • გამოხმაურება

ამერიკის საზოგადოებრიობა პაკრიტიკებს თავისი პრეზიდენტის გადაწყვეტილებას

წინდაუხედავი სტრატეგია

ვაშინგტონი. ამერიკის დედაქალაქში გამართულ პრესკონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების პროგრესული საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა მკაცრად დაგმეს რ. რეიგანის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება, დაიწყოს ნეიტრონული იარაღის სრული მასშტაბით წარმოება.

ამერიკის გონიერი მსოფლიოსთვის მოქალაქეთა ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა დ. კორტრაიტმა წაიკითხა საპროტესტო წერილი, რომელსაც პრეზიდენტ რ. რეიგანს უგზავნის ქვეყნის 24 საზოგადოებრივი, პროფკავშირული და სხვა ორგანიზაცია. მასში, კერძოდ, ნათქვამია, რომ თვითეთრი სახლის გადაწყვეტილება „უშუალო საფრთხეს უქმნის ევროპის ხალხებს, ვინაიდან იგი ზრდის ბირთვული ომის საფრთხეს". ნეიტრონული იარაღის წარმოებისა და განლაგების გეგმაში შეიძლება განიხილოთ მხოლოდ „შეზღუდული" ბირთვული ომის მზადების ამერიკის სტრატეგიის კონტექსტით — სტრატეგიისა, რომელიც ევროპას ხასიფლაოდ აქცევს, — ნათქვამია წერილში.

პროტესტის შემდგენლებმა მოითხოვეს გაუქმდეს ნეიტრონული იარაღის წარმოების გადაწყვეტილება და ვაშინგტონმა იკისროს „სერიოზული ვალდებულებანი მიაღწიოს შეთანხმების დადებას შეიარაღებისადმი კონტროლის დარგში".

ამ იარაღის წარმოება, ამბობს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრი ტ. ვაისი აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში, ქმნის ომის რეალურ საფრთხეს, რომ ჩვენ შეიძლება პროვოკაციულად გამოვიწვიოთ ხაყოველთაო ბირთვული კატასტროფა. ჩვენს ეროვნულ ინტერესებს, მთელი მსოფლიოს ინტერესებს შეესაბამება ის, რომ ხელი ავაღებინოთ რეიგანს გადაწყვეტილებაზე, დასძინა კონგრესმენმა.

კ. ვაისმა აღნიშნა, რომ ბირთვული არსენალის ზრდის ნაცვლად შეერთებულმა შტატებმა უნდა იღვაწოს მთლიანი კონტროლის დასაწესებლად საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების გზით. **თუ ჩვენ ნეიტრონულ იარაღს ვაწარმოებთ, აღნიშნა მან, საბჭოთა კავშირი ამას უპასუხოდ არ დატოვებს. ამრიგად, ხელიდან გავუშვებთ გამალებული შეიარაღების შეზღუდვის შანსს, და ეს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დავაბრალოთ.**

ახლანდელი ადმინისტრაცია, განაცხადა სენატის ასიგნებათა კომისიის თავმჯდომარემ მ. ჰეტფილდმა, დაადგა ბირთვული შეიარაღების არსენალების უპრეცედენტო გაძლიერების გზას, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მთელ მსოფლიოს. ნეიტრონული იარაღის წარმოების დაწყების გადაწყვეტილება, თქვა სენატორმა, ბუნებრივ შეშფოთებას იწვევს, ვინაიდან იგი ზრდის ბირთვული ომის შესაძლებლობას. ამ იარაღის დასავლეთ ევროპასა თუ მსოფლიოს სხვა რაიონებში განლაგება, დასძინა სენატორმა, გაადიდებს საყოველთაო ბირთვული კატასტროფის საფრთხეს.

განიხილეს ვითარება

კოლონელთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ვარშავა. პოლონეთის პრესის სააგენტომ გაავრცელა 11 აგვისტოს გამართული პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილების ტექსტი, პლენუმზე განხილეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის IX ყრილობის შემდეგ ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის განვითარების საკითხი.

მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში სერიოზულად გაწყვავდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია. დაძაბულობის ახალი ფაქტორები, განსაკუთრებით ქუჩის დემონსტრაციები, რომლებსაც „სოლიდარობის" ელექტრემისტული რგოლები აწყობენ, აღნიშნულია გადაწყვეტილებაში, საფრთხეს უქმნის პოლონეთის სოციალისტურ განვითარებას, მეკადნეობას, რომლის მიზანია ქვეყნის გამოყვანა კრიზისიდან.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი მთელი სიმტკიცით აცხადებს, რომ პარტია და სახალხო ხელისუფლება აქტიურად გაუწევენ წინააღმდეგობას ანტისოციალისტურ და კონტრრევოლუციურ მუქარას, და ქვეყნის მთელ პატრიოტულ ძალებს მოუწოდებს ერთად იმოქმედონ მტრული ანტისოციალისტური მოქმედების შესაკავებლად.

გადაწყვეტილება შეიცავს ქვეყნის ეკონომიკური ვითარების შეფასებას, ცენტრალური კომიტეტი მთავრობას რეკომენდაციას აძლევს სასწრაფოდ შეიმუშაოს მექანიზმი, რომელიც სტიმულს მისცემს მოსახლეობისათვის საჭირო სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოწოდებას, ძირითადი საქონლით მოსახლეობის მომარაგების მოგვარებას.

ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ საჭირო მტკიცედ აღუდგნენ წინ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის გამწვავებას, რომელიც გაფიცვებისა და ქუჩის დემონსტრაციებით არის გამოწვეული. ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, როდესაც დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას.

პოლონეთის პრესის სააგენტომ გაავრცელა აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ს. კანიას საბოლოო გამოსვლის ტექსტი. თავის გამოსვლაში ს. კანიამ აღნიშნა, რომ „დღემდე ვერ შევძელით უარყოფითი ეკონომიკური პროცესების შეჩერება". თუ მათ ვერ შევაჩერებთ, თქვა ს. კანიამ, პოლონეთის ეკონომიკას აშკარა კატასტროფა მოუვა. ჩვენ თქვა მან, უნდა დავძლიოთ ეს ტენდენცია. ამისათვის საჭიროა დაირაზმოს მთელი საზოგადოება.

რაც შეეხება პოლიტიკური მდგომარეობის განვითარებას, თქვა შემდეგ ს. კანიამ, ჩვენს წინაშე დგას ამოცანა ვიხსნათ ერი. ახლანდელი განვითარების მიმდინარეობას, თუ იგი ვერ დაძლიეთ, გარდაუვალად მოჰყვება ისტლიანი კონფრონტაცია. ჩვენმა პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა არ უნდა მიჩქმალონ ეს შემმარიტება. ჩვენ უნდა გავაფრთხილოთ მთელი ხალხი ამ საშიშროების გამო. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ეს არ დაგუშვათ.

წინანდელი საგაფიცვო კონფლიქტების დროს პარტია ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა არ დაეშვა ასეთი კონფრონტაცია. დღეს „სოლიდარობის" ხელმძღვანელი წრეების ავანტიურისტული ჯგუფის მოქმედების გამო, რომლისთვისაც კონფრონტაციისადმი მისწრაფება საპროგრამო გზი გახდა, ჩვენ ასეთი საშიშროების წინაშე აღმოვჩნდით. ეს პროცესი უნდა შევაჩეროთ. ამას ვერ მივაღწევთ დათმობების გზით. უნდა შევიგნოთ ის ფაქტი, რომ ხდება მეტად ბევრი მოვლენა, რომლებიც მოწმობს, რომ ეს სტიქიური კი არა, კონტრრევოლუციური მიზნით დაგეგმილი მოქმედებაა.

იბადება კითხვა: არის თუ არა ეს ქვეყნის შიგნით მხოლოდ იმ ადამიანთა ჯგუფის საქმე, რომლებიც ცდილობენ მოვლენების განვითარება კონფრონტაციამდე მიიყვანონ იმ იმედით, რომ ამას მოჰყვება სოციალიზმის მსჯავრი, ჩვენი პარტიის დამარცხება, მათი გამარჯვება? ეფიქრობ, და ბევრი რამ ამას ადასტურებს, რომ პოლონეთის მდგომარეობის განვითარება უნდა განვიხილოთ უფრო ფართო კონტექსტით. არიან დასავლეთში ისეთი ძალები, რომლებიც იმედოვნებენ, რომ პოლონეთი დეტონატორის როლს შეასრულებს მსოფლიო ვითარებაში.

მოვალენი ვართ ყველაფერი ვიღონოთ პოლონეთის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებისათვის, უწინარეს ყოვლისა ჩვენს მოკავშირეთა შორის, განაკიდა ს. კანიამ. ამ ტრიბუნიდან ორატორებმა სწორედ მიაპყრეს ყურადღება იმას, რაც ჩვენ ყოველთვის გვახსოვდა და გვახსოვს, განსაკუთრებით ახლა, ჩვენთვის მძიმე ჟამს, რა მოუვიდოდა ჩვენს მეურნეობას, საბჭოთა ეკონომიკასთან ტრადიციული ურთიერთობა რომ არ გვქონდეს. ეს პრაქტიკულად ერთადერთი მნიშვნელოვანი რგოლია, რომელიც შეიფერებლად მოქმედებს, რომელზეც დამოკიდებულია პოლონეთის მთელი სახალხო მეურნეობის ფუნქციონირება.

ვითარება ქვეყანაში ყველას აწუხებს, აწუხებს ჩვენს მოკავშირეებს. ჩვენ დიადი სოციალისტური თანამეგობრობის შემადგენელი ნაწილი ვართ, სუსტი პოლონეთი ასუსტებს თანამეგობრობას. სწორედ ასე უნდა გუყურებდეთ ჩვენს საერთაშორისო ვალდებულებებს. ახლანდელ ძნელ ვითარებაში, რომელშიც ჩვენი ქვეყანა აღმოჩნდა მომძე საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს მადლობას ვუძღვნით პოლონეთის პრობლემებისადმი კეთილმოსურნე დამოკიდებულებისათვის, უდიდესი ეკონომიკური დახმარებისათვის, რომელსაც საბჭოთა კავშირი გვიწევს.

დასავლეთში ახლა პოლონეთის შესახებ წერენ არა მარტო როგორც სახელმწიფოზე, რომელსაც დიდი საგარეო ვალი აქვს, არამედ აგრეთვე როგორც ევროპაში სტატუს კვოს უზრუნველყოფის დიდმნიშვნელოვან ელემენტზე, ევროპის კონტინენტის სტაბილურობისა და მშვიდობის არსებობის ფაქტორზე. ჩვენი ვალდებულებანი აქედანაც გამომდინარეობს, თქვა ს. კანიამ.

ფოტოფაქტი და...

აშშ. ხამი ათასზე მეტი უმუშევარი შეიკრიბა ქ. სენტ-ლუისის (მისურის შტატი) პატარა ქარხნის შესახვლელთან (სურათზე). საწარმოს პატრონებმა გამოაცხადეს, რომ ალირებენ რვა მუშის მიღებას. სამუშაოს მაძიებელთა უმრავლესობამ რიგი წინადღით საღამოს დაიკავა და 18 საათის განმავლობაში ფეხმოუცლელად იდგა ქარხნის შესახვლელთან.

ასეთ რიგებს ახლა ხშირად ნახავთ ნიუ-იორკში, ჩიკაგოში, დეტროიტში, ფილადელფიასა და ქვეყნის სხვა ქალაქებში. „ზედმეტ ადამიანთა" არმია ამუამად 8 მილიონს აღწევს.

აპ-საკლესის ფოტო.

მხატვრის კომენტარი

1981 წლის ივლისის ბოლოსათვის უმუშევართა რიცხვი ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნებში 8,4 მილიონს, ანუ თვითმოქმედი მოსახლეობის 7,4 პროცენტს აღწევდა. დასავლელ ეკონომისტთა აზრით, წლის ბოლოსათვის უმუშევრობის მრუდი „საერთო ბაზრის" ქვეყნებში სულ უფრო მაღლა წავა. (გაზეთებიდან).



უსიხარულო ტენდენცია.

ნახატი ყოველკვირეულ „ზორიცონტიდან" (გდრ).

კაპიტალის სამყარო:

წინააღმდეგობა მწვავდება

ვაშინგტონი. სულ უფრო მწვავდება სავაჭრო-ეკონომიკური წინააღმდეგობა შეერთებულ შტატებსა და კაპიტალისტურ სამყაროში მის მოავარ მეტოქეებს შორის. ეს აღიარა ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის მინისტრმა ჯ. ბლოკმა:

ყოველკვირეულ „ი. ს. ნიუს ენდ ეორლდის რიპორტისათვის" მიცემულ ინტერვიუში მინისტრი, კერძოდ, შეეხო იაპონიასთან სავაჭრო ომს". მან აღნიშნა, იაპონია „უდიდესი ბაზარია ჩვენი სოფლის მეურნეობის პროდუქციისათვის" და ამერიკის შეერთებული შტატები „დეფიციტს განიცდის მასთან ვაჭრობაშიო". მან აშკარად განაცხადა, რომ ვაშინგტონის ადმინისტრაცია აპირებს კვლავაც ზემოქმედება მოახდინოს ტოკიოზე, რათა მიაღწიოს შეღავათიან პირობებს ამერიკული საქონლის ექსპორტისათვის. „ჩვენ ბრძოლა გვიხდება ყველაფრისათვის, რასაც ვიღებთ", — განაცხადა ჯ. ბლოკმა. — ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, თქვა შემდგომ მან, „იღვწის იაპონიის ზოგიერთი სატარიფო ბარიერის შემცირებისათვის", განსაკუთრებით იმ საკითხებში, რომლებიც ეხება ძროხის ხორცისა და ციტრუსების ვაჭრობას, ესე იგი იმ „ორ სფეროში, სადაც პერსპექტიული ბაზარია მოსალოდნელი ჩვენი პროდუქციისათვის".

როგორც ცნობილია, ვაშინგტონი ტოკიოსგან მოითხოვს პროტექციონისტული ტარიფების მოსპობას, თან აფრთხილებს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში დაბრკოლებას შეუქმნის ამერიკის შეერთებულ შტატებში იაპონური ავტომობილებისა და ელექტრონიკის ექსპორტს. ამჯერადაც მინისტრი არსებითად დაეშურა იაპონიის მთავრობას. „გვინდა, დავიყოლიოთ ისინი, — თქვა მან „თუ ეს არ მოხდება, მომავალი გვიჩვენებს როგორი იქნება ჩვენი რეაქცია".

როცა „საერთო ბაზრის" ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობას შეეხო, ჯ. ბლოკმა მათ ბრალად დასდო სუბსიდირებული ექსპორტის პოლიტიკის განხორციელება". ამას პატიოსან კონკურენციას, ვერ ვუწოდებთ, — განაცხადა მან, და დასავლეთ ევროპას მოსთხოვა, „თავისი ფასები შეუსაბამოს მსოფლიო ბაზრის დონეს".

ბირთვული კატასტროფის ნეიტრონული დეტონატორი

სამხედრო სპეციალისტის აზრი

ამერიკის შეერთებული შტატები ხელს არ იღებს იმ განზრახვაზე, რომ ნეიტრონული იარაღი დასავლეთ ევროპას ქვეყნებში განალაგოს. თავდაპირველად ვაშინგტონმა 1977-1980 წლებში სცადა მოკავშირეებისათვის თავს მოეხვია ეს ბარბაროსული იარაღი. იმჟამად საზოგადოებრიობის გულისწყრომამ და მასობრივმა პროტესტმა აიძულა მაშინდელი პრეზიდენტი ჯ. კარტერი უკან დაეხია. მან განაცხადა, რომ მიიღო გადაწყვეტილება ნეიტრონული იარაღის „წარმოების გადადების" შესახებ. მაგრამ ახლა უკვე ცხადია, რომ პენტაგონის ზეგავლენით ამერიკის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა შეუდგეს მასობრივი მოსპობის ამ უსაშინელესი იარაღის სრული მასშტაბით წარმოებას.

1980 წლის ოქტომბერში ამერიკის სენატმა დაამტკიცა რაკეტულ-ბირთვული (მათ შორის ნეიტრონული) იარაღის გაძლიერების პროგრამის ასიგნებანი ოთხ მილიარდამდე დოლარის ოდენობით. შეერთებული შტატების ენერგეტიკის სამინისტრომ, რომელიც სამხედრო-ბირთვულ პროგრამებს განაგებს, კონგრესს „აცნობა „ლენსის" ტიპის რაკეტებისათვის ახალი ბირთვული მუხტების წარმოების შესახებ, რომლებიც გამოიყენება როგორც ნეიტრონული იარაღი.

ნეიტრონული ბომბის „მინი-თერმობირთვულ" მუხტში თერმობირთვული რეაქციის შედეგად აფეთქების მეტი წილი ენერგია გამოიყოფა ნეიტრონული გამოსხივების სახით (50-80 პროცენტამდე ნაცვლად 5-8 პროცენტისა, რომელიც გამოიყოფა „ჩვეულებრივ" ბირთვულ იარაღში). მძლავრ ნეიტრონულ ნაკადს შეუძლია შეაღწიოს სახლის კედლებში, ჯავშანში და სხვა დამცავ საშუალებებში და ფუნქციონირი მომაკვდინებელი სხივების მსგავსად მოსპოს ყოველი ცოცხალი არსება. და აი, ასეთი საშინელი იარაღი სურთ „ჰუმანურად" გაასაღონ. იგი, ცხადია, უდავოდ „ჰუმანურია" ნივთების და არა ადამიანების მიმართ. თუმცა მისი დარტყმითი ტალღის ძალას შეუძლია ნგრევის ისეთი ზონა მოიცვას, რომელიც საკმარისი იქნება იმისათვის, რომ აღიგაკოს პირისაგან მიწისა პატარა დასავლეთევროპული ქალაქი.

თავის პირველ საჯარო გამოსვლაში ამერიკის თავდაცვის მინისტრმა კ. უაინბერგერმა მასობრივი მოსპობის ამ ბარბაროსული საშუალებით აღტაცებულმა განაცხადა: „შესაძლებლობანი, რომლებსაც ეს იარაღი სახავს ჩვენს წინაშე საომარი მოქმედების არეში — ბირთვული ძალების გამმტკიცების საქმეში, ძალიან დიდია, რომ ჩვენ, როგორც ჩანს, გვენდომება მისი გამოყენება".

კაცობრიობა სურთ დაარწმუნონ, თითქოს ნეიტრონული იარაღის გამოყენება შეიძლებოდეს ნებისმიერ კონფლიქტში ჩვეულებრივ იარაღთან ერთად და რომ მისი გამოყენება სულაც არ ნიშნავს ბირთვული ომის დაწყებას. ცდილობენ, რადაც უნდა დაუჯდეთ გაიტანონ თავიანთი იდეა ევროპაში ან ახლო აღმოსავლეთში შეზღუდული ბირთვული ომის შესაძლებლობის შესახებ. ასეთი ომი მიაჩნიათ რამდენადმე „მისაღებად", რომელიც, ვითომდა, თავიდან აგვაცილებს საყოველთაო ბირთვულ განადგურებას, ვინაიდან მისი წარმოება შესაძლებელი იქნება სათანადო „წესებით" და მხოლოდ გარკვეული სიმძლავრის საბრძოლო მუხტებით.

„საბჭოთა სამხედრო საფრთხის" შესახებ პროპაგანდისტული ბმაურით დასავლეთევროპელებს თავს ახვევენ ევროსტრატეგიულ და ნეიტრონულ იარაღს. ვაშინგტონში სამქმე იქითკენ მიჰყავთ, რომ ევროპა შეზღუდულ კონფლიქტში ბირთვული იარაღის საცდელ პოლიგონად აქციონ.

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ა. ჰეიგი, როცა ევროპაში ნატოს უმაღლესი მთავარსარდალი იყო, გაოცებული ამბობდა: „...სასაცილოა იმის მტკიცება, თითქოს არაჟუმანური იყოს მისი გამოყენებაო". ასევე მსჯელობას გარკვეული მიზანი აქვს: დაუშალონ საზოგადოებრიობას, რომ ნეიტრონული იარაღი, — ეს, უწინარეს ყოვლისა, ბირთვული იარაღია აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით. ნეიტრონული იარაღი, თუ იგი ევროპაში გამოჩნდა, შეიძლება საყოველთაო ბირთვული ომის დეტონატორად იქცეს, რომლის კატასტროფული შედეგების წარმოდგენაც კი შეუძლებელია.

ევროპაში მსხვილი სამხედრო დაჯგუფებების მეტოქეობა აამოქმედებს არა ათობით, არამედ ასობით ნეიტრონულ იარაღს. მაშ რომელ „შეზღუდულ ომზეა" ლაპარაკი? ეს იქნება ნამდვილი საყოველთაო ბირთვული ომი, როგორც ათობით და ასობით მილიონ ადამიანს შეიწიოვრავს.

საბჭოთა კავშირი მტკიცედ და თანამიმდევრულად ილაშქრებს ნეიტრონული საფრთხის წინააღმდეგ. 1977 წელს საბჭოთა კავშირმა წამოაყენა წინადადება დაიდოს ხელშეკრულება იმის თაობაზე, რომ „უარი თქვან ნეიტრონული ბომბის წარმოებაზე, რათა მსოფლიოს თავიდან აიცილონ ხალხის მასობრივი ჟლეტის ამ ახალი იარაღის შექმნა". ამ წინადადების განვითარება იყო სსრ კავშირის მიერ სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად განიარაღების კომიტეტში. შეტანილი ბირთვული ნეიტრონული იარაღის წარმოების, დგაროვების, გავრცელებისა და გამოყენების აკრძალვის შესახებ კონვენციის პროექტი, რომელიც არ მიიღეს, უწინარეს, ყოველისა, ამერიკის შეერთებული შტატების ნეგატიური პოზიციის გამო.

სკკპ XXVI ყრილობის ტრიბუნიდან ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმ, რომელიც კვლავ შეეხო ნეიტრონული იარაღის საკითხს, თქვა „ჩვენი მხრივ ვადასტურებთ, რომ არ დავიწყებთ მის წარმოებას, თუ იგი არ იქნებათ სხვა სახელმწიფოებს, და მზად ვართ დავდოთ შეთანხმება, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ აკრძალავს ამ იარაღს".

ვ. ლუკინი.

პოლკოვნიკი.

(ახალი ამბების სააგენტო)

საკლესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

14 აგვისტო

ჟურნალისტ ეროვნულ ოლიტიკა

ჯაკარტა. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ჟაო ძიანგის ვიზიტი, წერს ინდონეზიის პრესა, უნდა მივიჩნიოთ პეკინის მიერ უკანასკნელ ხანს ფართოდ წამოწყებული იმ დიპლომატიური შეტევის განუყოფელ ნაწილად, რომელსაც საფუძვლად უდევს აშკარა ანტისაბჭოურობა. საბჭოთა კავშირისადმი მტრობა, წერს გაზეთი „კომპასი", ჩინეთის საგარეო პოლიტიკის უმთავრესი ფაქტორია. ამ მტრობით აიხსნება როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებთან ჩინეთის პოლიტიკური პარტნიორობა, ისე მისი მოსწრაფება თავის კონტროლს დაუქვემდებაროს მოვლენების განვითარება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

რეგიონში ჰეგემონიის მიღწევისათვის ჩინეთის ხელმძღვანელობა ასეანის წევრი ქვეყნების მიმართ ორპირულ პოლიტიკას ადგას, ერთ მხრივ, წერს გაზეთი „პელიტა", იგი გამუდმებით არწმუნებს ასეანის დედაქალაქებს „თქვენთან მჭიდრო თანამშრომლობას ვეუწევ", ხოლო მეორე მხრივ — ყოველნაირად მხარს უჭერს რეგიონში მოქმედ სხვადასხვა მთავრობის საწინააღმდეგო დაჯგუფებას.

ჟაო ძიანის ახლანდელი ვოიაჟის ერთ-ერთი მთავ

„შუამთობა“— მეცხოველეთა დღესასწაული

საბჭოთა აჭარის მშრომელთა ცხოვრებაში მკვიდრად მოიკიდა ფეხი მასობრივმა ხალხურმა დღესასწაულებმა „შუამთობამ“, „კოლხობამ“, „ტბელობამ“ — შრომის დღესასწაულებმა, რომლებიც ჩვენი მიღწევების ჩვენების ეფექტიანი ფორმებია.

ტრადიციისამებრ ზაფხულის დამლევს აჭარის მთიან რაიონებში ეწყობა შრომის დღესასწაული „შუამთობა“.

...კურორტ ცხალთუბოს რაიონში, გოდერძის უღელტეხილის მახლობლად, გამოვიდნენ მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ხულოს რაიონის მოვიდოდეები, ძალლხნენები. ამ დღეს განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა მარულები.

მხიარულად ჩატარდა „შუამთობა“ შუახევის რაიონში. აქ, მაღალი მთის ხაძოვრებზე, სადაც ხათავეს იღებს შდინარე ჭირუხისწყალი, თავი მოიყარა ათასობით ადამიანმა — რაიონის სტუმრებმა, ხახელგანთქმულმა მეცხოველეებმა, ხაშეფო ფაბრიკა-ჭარხნების, წარმოების მოწინავეებმა. დღესასწაულის დღეს მათ შეეჯიბრეს რაიონის მეცხოველეთა წარმატებების შედეგები: ხაუკეთესოები დაჯილდოვეს ფასიანი ხარუკრებითა და სიგელებით.

ხურპოზე: მარული დღესასწაულის დღეს ხულის რაიონის მთებში.

ნ. ანასტასიევის ფოტო.

საჰაერო გზით...

კვირაში ორჯერ — სამშაბათობით და შაბათობით საქართველოს დედაქალაქი სასაზღვრო პუნქტი ხდება. ამ დღეებში აქედან ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში მიემგზავრებიან ან ბულგარეთიდან ბრუნდებიან საბჭოთა მოქალაქენი.

წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისის აეროპორტი საერთაშორისო გახდა, ხოლო მომდინარე წლის მაისის დამდეგიდან გაიხსნა პირდაპირი საჰაერო ხიდი თბილისსა და ვარნას — ბულგარეთის განთქმულ შავი ზღვისპირა კურორტს შორის.

აი დღესაც, ვარნაში დასასვენებლად მიემგზავრება ქართველი და აზერბაიჯანელი ტურისტების ორი ჯგუფი.

... თვითმფრინავის გასვლამდე ორი საათია დარჩენილი. საბაჟო კონტროლისთვის იწვევენ ს-803 საერთაშორისო რეისის „თბილისი-ვარნის“ მგზავრებს. ტურისტთა ხელმძღვანელი ბაგაჟის შემოწმებას შეუდგნენ საბაჟო სამსახურის მორიგე ინსპექტორები.

— არაფერი არ უნდა ქმნიდეს ნერვულ ვითარებას საბაჟო დარბაზში, — გვიხსნის საბაჟოს უფროსი ინსპექტორი ნ. მანჯგალაძე.

— პროცედურა მაინცდამაინც სასიამოვნო ჯერ არის, არა?

— სასიამოვნოსი რა მოგახსენოთ, მაგრამ ჭვი აუცილებელია, სახელმწიფოს ხანტერესებით არის ნაკარნახევი. რა დასამალია, და ჯერ კიდევ ეხვდებით ხოლმე ცალკეულ ადამიანებს, რომლებიც გაზრახ ცდილობენ არალეგალურად გაიტანონ საზღვარგარეთ საბჭოთა ვალუტა, ძვირფასი ლითონების ნაწარმი ან სხვა ნაკეთობანი. და აი, სწორედ აქ, თანამედროვე ტექნიკასთან ერთად, რომლითაც ჩვენ ვართ აღჭურვილი, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საბაჟო ინსპექტორის უნარს — ერთი შეხედვით შეიფასოს მგზავრის ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ჩვენი მუშობის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ფრიად თავდაჯერებულ ადამიანსაც კი, თუ სინდისი სუფთა არა აქვს, საკონტროლო პუნქტში წამით უმტუნებს ხოლმე თავდაჭერა, და გამოცდილი მებაჟე დაუყოვნებლივ შეამჩნევს ამას...

— რა ღონისძიებებს იღებთ საბაჟო კოდექსის დამრღვევთა მიმართ? — ვეკითხებით საბაჟოს უფროსს გივი მურვანიძეს.

— ასეთ მოქმედებას კანონი კონტრაბანდის გატანის ცდად მიიჩნევს. კონტრაბანდის საგანს ჩამოვართმევთ დამრღვევს და მომზდარ ფაქტს ვაცნობებთ მის სამუშაო ადგილზე. დამრღვევი აგრეთვე შეიძლება დაჯარიმდეს, ხოლო საგანგებო შემთხვევაში — დაკავებულ იქნეს და მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლად: კონტრაბანდა, ესე იგი საქონლის ან სხვა ფასეულობათა უკანონო გადატან-გადმოტანა სსრ კავშირის სახელმწიფოს საზღვარზე... იხვება თავისუფლების აღკვეთით — სამიდან ათ წლამდე ვადით და ქონების კონფისკაციით“...

— კეთილი, მაგრამ ზოგიერთი მაინც რომ ახერხებს კანონის დარღვევით კონტრაბანდის გატანას?

— ახერხებენ, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მათი მდგომარეობა ვერაფერი სახარბიელოა, — ამბობს გ. მურვანიძე — ჯერ ერთი, საზღვარგარეთ იგი იძულებული ხდება თავი დაიმციროს მალულად გატანილი საგნების გაყიდვის პროცედურით, რასაც ყველა ქვეყანაში ერთი სახელი აქვს — სპეკულაცია, მეორე, საბაჟოს ინსპექტორებს მინიჭებული უფლებისამებრ შეუძლიათ ჩამოართვან აღმოჩენილი ნამეტი საქონელი, რომლის ღირებულება სჭარბობს ოფიციალურად გადაცვლილი ვალუტის თანხის ოდენობას. ინსპექტორებმა იციან მოცემულ ქვეყანაში ამა თუ იმ საქონლის საბაზრო ფასები, ასე რომ, ნამეტის დადგენა არ გაუჭირდებათ.

— ორატორია! რა მშვენიერია! ორატორია! ორატორია! — აღტაცებით იმეორებდა იგი.

— რა არის, ბატონო ალიკო, ორატორია? — მოულოდნელმა შეკითხვამ შემაკრთო, გულში მეწყინა კიდეც. ვერაფრით ვერ ამეხსნა რატომ მომცა ასეთი შეკითხვა, მით უფრო, რომ ვერ წარმომედგინა, მას არ სცოდნოდა ამ ტერმინის მნიშვნელობა, მოკლედ ვუპასუხე:

— ორატორია არის ციკლური, სხვადასხვა ხასიათისა და თვისების ნაწილებისაგან შემდგარი ნაწარმოება, გაერთიანებული ერთ მთლიანში, დღეს ამ ფორმას ჩამოშორდა ძველი რელიგიური გაგება. კარგი ხანია იქმნება მონუმენტური ხასიათის სახალხო მოწოდების ორატორიები-მეთქი, და დავუსახელე პროკოფიევი, შოსტაკოვიჩი, შაპორინი და სხვანი.

გალაკტიონი გულდასმით მისმენდა. მერე სწრაფად წამოდგა, წიგნების თაროსთან მივიდა, საბჭოთა ენციკლოპედიის ტომი გადმოიღო, გადაშალა და თითის გაყოლებით სხარტად ჩაიკითხა:

— ორატორია...

— ორატორია! ორატორია! — ისევ რამდენჯერმე გაიმეორა და დასძინა:

— ძალიან კარგი! ძალიან კარგი!

შევთანხმდით, მოკლე ხანში შევხვედროდით ერთმანეთს. ასეც მოხდა. მან წაიკითხა პირველი ნაწილი — „დილა ჩემი სამშობლოსი!“. ჩემი გუმანი გამართლდა. ვფიქრობდი, გალაკტიონი უაღრესად დამოუკიდებელი აზროვნების, გემოვნების და მეტყველების პოეტი იყო და ვერ დაეკვემდებარებოდა სხვის შეთავაზებულ მხატვრულ სახეებს, მას ჰქონდა საოცარი, საკუთარი სამყარო, კომპოზიტორს შეეძლო მხოლოდ არსებული, მის მიერ უკვე შექმნილი სახეები, ლექსადწყობილი აზრები აეღო და გაეხადა საყრდენად მუსიკალური ნაწარმოებისათვის, გალაკტიონს კი არ სჩვეოდა სახე ჰქონდა მას ამ დროს, საოცარი თვალები...

გალაკტიონს ვხლებივარ ბეთანიაში, ატენში, ვგრძნობდი რა ძალითაც იპყრობდა მას ბუნება, ალბათ ამიტომ ამბობდა ხოლმე ხშირად — „სოფელი გამჭვირვალეა, ქალაქი უფრო დაზვინულიაო“.

მუსიკა, ქართული ჩუქურთმა ხელოვნების მარად უჭკნობი ღონა ესთეტური განცდით შენივთებულ გალაკტიონის შთამაგონებელ სტრიქონებთან. ქართულმა მუსიკამ დაისაკუთრა მისი პოეტური

გულო ჩემო, მღელვარევ!

ლოგ; უცებ შევნიშნე, მოდის შესანიშნავ კოსტიუმში საგანგებოდ გამოწყობილი უცნობი. ერთმანეთს გადაეხვევენენ, მეც გამაცნეს. გალაკტიონი იყო. ეს იყო 1918 წელი, ჩემი პირველი შეხვედრა გალაკტიონთან. მაშინ ახალი დაბრუნებული იყო რუსეთიდან. მერე და მერე ხშირად ვხვდებოდით.

მახსოვს ალექსანდრე აბაშელმა ძალიან ბევრი რამ გააკეთა გალაკტიონის იუბილესათვის. მამასავით დასტრიალებდა თავს, საღამოზე მისასალმებელი სიტყვაც წარმოთქვა.

ერთხელ მე და გალაკტიონი წყნეთის ქუჩაზე ვიყავით გასვენებაზე. ცხელოდა.

— მოდი, ლუდით გავგრილდეთ! — შევეპატიჟე მას. ლუდხანაში არავინ იყო. გამყიდველს არც კი მოუქცევია ყურადღება ჩვენთვის. გალაკტიონი მიდის გამყიდველთან, ართმევს ხელს და ეუბნება:

— მე გახლავართ საქართველოს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე...

1930 წელი. მხატვრის ატელიე. განუწყვეტლივ მიდი-მოდის პოეტი სახელოსნოში. კითხულობს ლექსებს მსოფლიო ლიტერატურიდან. დროდადრო ჩურჩულით იმეორებს ბაირონის ლექსს მეუღლისადმი. მხატვარი კორნელი სანაძე სიამოვნებით ისმენს „ჩაილდ-ჰაროლდის“ ნაწყვეტებს. ნათლად გრძნობს ფერმწერი: განსაკუთრებით უყვარს პოეტს მეუღლისადმი მიძღვნილი ბაირონის ლექსი.

— 1930 წლიდან ვიცნობდი გალაკტიონს. ამ წელს გავაკეთე მისი პორტრეტის პირველი ჩანახატი, — გვიამბობს საქართველოს სახე ჰქონდა მას ამ დროს, საოცარი თვალები...

ბალაკტიონს ვხლებივარ ბეთანიაში, ატენში, ვგრძნობდი რა ძალითაც იპყრობდა მას ბუნება, ალბათ ამიტომ ამბობდა ხოლმე ხშირად — „სოფელი გამჭვირვალეა, ქალაქი უფრო დაზვინულიაო“.

მუსიკა, ქართული ჩუქურთმა ხელოვნების მარად უჭკნობი ღონა ესთეტური განცდით შენივთებულ გალაკტიონის შთამაგონებელ სტრიქონებთან. ქართულმა მუსიკამ დაისაკუთრა მისი პოეტური

ბუნება—სიცოცხლის ქარი

მარადიულობის საუფლოში

საქართველოში ბევრი ნაკრძალია, მაგრამ სულ სხვა სიმდიდრეა ბაღრასს, ბაბანეურის და თუშეთის მთებში — იქ, სადაც კახეთის დედამიწინარე ალაზანი იბადება და სადაც უთხოვრის, ძელქვის, ლაფანის სამშობლოა...

ქართველი კაცი მუდამ უფრთხილდებოდა უთხოვარს, მაგრამ ტყეს მტერიც ჰყავდა. ჩვენმა დრომ გადაარჩინა იშვიათი ხეები სამუდამო დაღუპვისაგან. სახელმწიფომ შემორჩენილი კოორმები აღრიცხვაზე აიყვანა და მკაცრი ზედამხედველობა დაუწესა აქაურ წაბლნარს, მუხნარს, წიფლნარსა და რცხილნარს...

1967 წელს ბაბანეურის ძელქვის ტევრი სახელმწიფო ნაკრძალად გამოცხადდა. ბუჩქნარები თანდათან ტყედ იქცა. ამავე მიდამოებშია ოთხასი წლის ძელქვა, რომელსაც ნ. კეცხოველმა „ტყის ბელადი“ შეარქვა. მისი უბრეველი ტოტები ახლაც ამაყად ირხევიან.

მეთვრამეტე საუკუნეში ცნობილი მეცნიერის ლინეის მიერ ლათინურად შედგენილი პლანეტის მცენარეთა დასახელების რიგში „ძელქვა“ შეტანილია ქართული სახელით. ეს ჯიში ძირითადად ბაბანეურის მთებში, ლენქორანში, მაიაკოვსკსა და ახმეტაში შემორჩენილი—მისი მერქანი ქვასავით მაგარია. წინაპრები მას სახლების თავხეებად იყენებდნენ, რადგან არ ლპება. ასევე გამძლეა უთხოვარიც, რომლისგანაც საუკუნეთა მანძილზე ხომალდებს ამზადებდნენ.

უკანასკნელ ხანს საქართველოს ტყეებისა და ნაკრძალების მოვლას დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან, ერთგულად იცავენ მათ სატყეო მეურნეობებისა და ნაკრძალების მუშაკები.

ახმეტის სახელმწიფო ნაკრძალმა, რომელსაც წინათ ბაღრასბაბანეური ერქვა, ახლახანს შეიცვალა სახელი. მისი საერთო ფართობი 16.310 ჰექტარია: ბაღარა — 3040, საიდანაც 207 ჰექტარი წმინდა უთხოვარს უკავია, ბაბანეური — 770 ჰექტარი (აქედან 195 ძელქვნარია), თუშეთის ნაკრძალი — 12.500 (5 ათასი ფიჭვნარს უკავია).

ნაკრძალში სამი სატყეო უბანი და რვა სამცველოა, მესამე უბანი — თუშეთის ნაკრძალი კი ახალი შემოერთებულია (აქა-იქ შეინიშნება ხის ძირკვები). ბაღრასს სახელმწიფო ნაკრძალი 1935 წელს შეიქმნა, ბაბანეურისა — 1960 წელს, მაგრამ მათი არსებობის ისტორია, როგორც დამოუკიდებელი ნაკრძალისა, 1970 წლიდან დაიწყო. თუშეთის ნაკრძალს სულ ერთი წლის ისტორია აქვს.

ყველას ორი მთავარი მისია აკისრია: აქაური ფლორისა და ფაუნის დაცვა და შესწავლა. აქ წარმოებული ცდებისა და დაკვირვებების შედეგად რვა წლის მანძილზე თორმეტი სამეცნიერო ნაშრომი შეიქმნა. აქედან ერთი საკვალიფიკაციოა. მრავალი წერილი და ლექცია უკავშირდება კარგი მამული-შვილის გიორგი იჩუაიძის სახელს. გიორგი ჯერ უმცროს მეცნიერ მუშაკად მუშაობდა, ახლა კი ნაკრძალის დირექტორია. თავიდანვე ძალას არ იშურებს, ზრუნავს ნაკრძალის საბოლოო ჩამოყალიბებისათვის, ეწევა მეცნიერულ მუშაობას. პირველ ხანებში უფრო თუშეთის ტყეებით იყო დაინტერესებული. აქაურ მცენარეთა ევოლუცია ხომ გამყინვარების შემდეგ ორი მილიონი წლის მანძილზე დამოუკიდებლად — მეზობელი მცენარეულობის გავლენის გარეშე მიმდინარეობდა, მას კი სურდა გამოერკვია სახეობათა თავისებური ფორმები, დაჯგუფებანი და კომპლექსები. ძიების შედეგად გამართლდა მეცნიერის გარაუდი, რომ მრავალმა ხე-მცენარემ — არყმა, ასკილმა, მაჯაღვერმა და სხვებმა საკუთარი ფორმები შექმნეს, რომლებიც მხოლოდ თუშეთის ენდემებად ითვლებიან.

საინტერესო აღმოჩნდა ფიჭვნართა ურთიერთკავშირი და მათი გავლენით შექმნილი კოორმები.

თუშეთის ფიჭვნარები გამყინვარების რელიქტია და მყინვარების უკანდახევის შემდეგ ჯიშობრივი ცვლილება და მეზობელი მცენარეულობის ზეგავლენა არ განუცდია. ამიტომ თითქმის ორი მილიონი წლის კარჩაჟეტილი ევოლუციის შედეგია, რომ აქაურ სახეობათა მცენარეები განსხვავდებიან ტიპური ფორმებისაგან. აქაურ ტყეებში ისეთი ჯიშებია, რომლებიც სხვაგან თითქმის არ გვხვდება. ეს არის არყნარ-ფიჭვნარი სუბალპური ბალახეულით, არყნარ-ცაცხვნარი ბუჩქნარით, ფიჭვნარი დეკით და სხვა. აქ საქართველოსათვის უცნობი ბეღვა სოკოებიც კი აღმოჩნდა.

ფიჭვისათვის უჩვეულო მოვლენაა, რომ აქ ჩრდილოეთ ფერდობზე ქმნის მაღალ ბონიტეტის ტყეებს. ფიჭვი ზღვის დონიდან 2650 მეტრზეც გვხვდება, რაც კავკასიისათვის ერთადერთი შემთხვევაა.

გიორგი იჩუაიძეს მოსვენებას არ აძლევდა დაბერებული, დახავსებული და ჩაბნელებული უთხოვრიანები და მათ შორის არსებული 1500-2000 წლის ხეების სიიდუმლოების გამოცნობა. რაც უფრო დიდი დრო გადიოდა, მით უფრო ღვივდებოდა ინტერესი, მრავალი საკითხი მოითხოვდა პასუხს:

— ნუთუ განწირულია უთხოვარი?

— მეცნიერებმა უთხოვარის განახლებას ჯერ ვერ მიაღწიეს... ამაზე ფიქრში ღამეებს ვათენებთ.

— ორატორია! ორატორია! — ამეტაცებით იმეორებდა იგი.

— რა არის, ბატონო ალიკო, ორატორია? — მოულოდნელმა შეკითხვამ შემაკრთო, გულში მეწყინა კიდეც. ვერაფრით ვერ ამეხსნა რატომ მომცა ასეთი შეკითხვა, მით უფრო, რომ ვერ წარმომედგინა, მას არ სცოდნოდა ამ ტერმინის მნიშვნელობა, მოკლედ ვუპასუხე:

— ორატორია არის ციკლური, სხვადასხვა ხასიათისა და თვისების ნაწილებისაგან შემდგარი ნაწარმოება, გაერთიანებული ერთ მთლიანში, დღეს ამ ფორმას ჩამოშორდა ძველი რელიგიური გაგება. კარგა ხანია იქმნება მონუმენტური ხასიათის სახალხო მოწოდების ორატორიები-მეთქი, და დავუსახელე პროკოფიევი, შოსტაკოვიჩი, შაპორინი და სხვანი.

გალაკტიონი გულდასმით მისმენდა. მერე სწრაფად წამოდგა, წიგნების თაროსთან მივიდა, საბჭოთა ენციკლოპედიის ტომი გადმოიღო, გადაშალა და თითის გაყოლებით სხარტად ჩაიკითხა:

— ორატორია...

— ორატორია! ორატორია! — ისევ რამდენჯერმე გაიმეორა და დასძინა:

— ძალიან კარგი! ძალიან კარგი!

შევთანხმდით, მოკლე ხანში შევხვედროდით ერთმანეთს. ასეც მოხდა. მან წაიკითხა პირველი ნაწილი — „დილა ჩემი სამშობლოსი!“. ჩემი გუმანი გამართლდა. ვფიქრობდი, გალაკტიონი უაღრესად დამოუკიდებელი აზროვნების, გემოვნების და მეტყველების პოეტი იყო და ვერ დაეკვემდებარებოდა სხვის შეთავაზებულ მხატვრულ სახეებს, მას ჰქონდა საოცარი, საკუთარი სამყარო, კომპოზიტორს შეეძლო მხოლოდ არსებული, მის მიერ უკვე შექმნილი სახეები, ლექსადწყობილი აზრები აეღო და გაეხადა საყრდენად მუსიკალური ნაწარმოებისათვის, გალაკტიონს კი არ სჩვეოდა

ფეხბურთის ამბები

ბუენოს გაიმართა პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეშვიდე ტურის მატჩები. ამ შეჯიბრებაში მონაწილე საქართველოს გუნდებმა შინ ითამაშეს. ქუთაისს „ტორპედომ“ მიიღო ვორონეჟის „ფაკელი“, ლანჩხუთის „გურიამ“ — ხარკოვის „მეტალისტი“. ქუთაისელებმა შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 3:2.

ბაკოსთა მსოფლიო ჩემპიონატის შერჩევითი ტურნირების მორიგი შეხვედრები. **მონტევიდეოში** ურუგვაის ნაკრებმა მიიღო კულუმბიელთა გუნდი და გაიმარჯვა ანგარიშით 3:2. ახლა სამხრეთ ამერიკის ამ მეორე შერჩევით ჯგუფში 2 ქულით ლიდერობენ ურუგვაელები. პერუელებსა და კოლუმბიელებს თითო ქულა აქვთ. **ჰავანაში** ითამაშეს ინდონეზიისა და ფიჯის ნაკრებმა გუნდებმა. მატჩი დამთავრდა ფრედ — 3:3. ეს იყო აზიისა და ოკეანიის ზონის პირველი შესარჩევი ჯგუფის გუნდების მორიგი შეხვედრა. აქ მეადი მატჩის შემდეგ 12 ქულა დააგროვა ახალი ზელანდიის ნაკრებმა და იგი ამჟამად პირველ აღგილზეა.

სატურნირო ორბიტა

კალათბურთი. რიო-დე-ჟანეიროში მომდინარე ვაჟთა გუნდების საერთაშორისო შეჯიბრებაში სსრ კავშირის სტუდენტთა ნაკრებმა მეორე გამარჯვება მოიპოვა: აქ ჯერად მექსიკის გუნდთან — 108:80. **ახლაც საბჭოთა კალათბურთელთაგან საუკეთესო** ხნავი. **პერი იყო თბილისელი ნ. დერიგინი — 28 ქულა.** ზაგრების (იუგოსლავია) „ციბონამ“ მოუგო ბრაზილიის ნაკრებს — 87:76.

სრულა. დომინგოს რესპუბლიკის დედაქალაქ სანტო-დომინგოში დამთავრდა მსოფლიოს ჩემპიონატი ანვემატური იარაღით სროლაში. სსრ კავშირის ნაკრების წევრებმა 10 მედალი მოიპოვეს (6 ოქროს, 1 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალი), ამერიკის შეერთებული შტატების მსროლელებმა — 4 (შესაბამისად 2,1 და 1), შვედებმა — 2 (თითო ვერცხლის და ბრინჯაოს მედალი).

ცურვა. ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონატში, რომელიც ვისკონსინის შტატის ქალაქ მილუოკში გაიმართა, 16 წლის მერი მიგერმა 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში თავისივე მსოფლიო რეკორდი (2.06,37) გააუმჯობესა — 2.05,69.

ველოსპორტი. სლოვაკიის გზებზე მიმდინარე მრავალდღიანი საერთაშორისო ველოსპორტის სამი ეტაპის შემდეგ ლიდერობს კუბელი ანდრია ვედერნიკოვი. მესამე ეტაპი მოიგო გორკელმა იური ბარინოვმა.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ტელევიზია

15 აგვისტო

პირველი პროგრამა: 09.00 — „ვრუბია“ (მ.), 09.40 — „დილის ბარეგზში (მ.), 10.00 — „მოამბე“, 10.35 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (მ.), 11.05 — „ვერნისაჟი“ — „საგამოფენო დარბაზებში“, 11.40 — „პოეზიის ხუთი წუთი“, 11.45 — „ჩვენი საშაფხულო ჟინოდარბაზი“ — მულტიკულეკაციური ფილმი, 12.20 — „ბავშვებისათვის — „ათი ათასად ზრდილობა“ (განმეორებით), 13.00 — „შეხვედრა ეფალონთან“, 13.25 — „პოეზიის ხუთი წუთი“, 13.30 — ყირგიზეთის მელევიზიის პროგრამა (ეძღვნება საბჭოთა საქართველოს 60 წლისადს), 15.55 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმი, 16.15 „პოეზიის ხუთი წუთი“, 16.20 — „გადაცემა საბჭოთა არმიის მეთრეებისათვის, 17.05 — „ზაფხულს მზეწვნიან“ (განმეორებით), 17.55 — „ჟურნალისტური ექსპედიცია“ — „გეორგიევსკის გრანდგაგის მე-200 წლისთავის გამო, 18.45 — „პოეზიის ხუთი წუთი“, 18.50 — „სპორტული „კალეიდოსკოპი“, 19.50 — „მოამბე“, 20.20 — ფრანგული მხატვრული ფილმი „ტამანგო“ (ნ.), 22.00 — „ვრეგმია“ (მ.), 22.35 — „ხალხური შემოქმედება“ კონცერტი, 23.05 — ქართული საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „40 ძველი წუთი“, 23.15 — „პოეზიის ხუთი წუთი“, 23.20 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში ოდესის „ჩერნომორეცი“-კიევის „დინამო“. მეორე ჯაჭი (ოდესიდან).

ოგონებები ლიდ ჰოეტზე

„გულო ჩემო, მღელვარევ, სულო ჩემო, მყივარო — ერთი დღეც არ გქონიათ შვიდი, უსატკივარო“.

გალაკტიონი.

წინაპრები. სოფელი. დედამამა. სკოლა. პოეზიისა და, საერთოდ, მწერლობის სიყვარული. ქუთაისის პერიოდი. სემინარია თბილისში. მასწავლებლობა ხარაგოულში. პირველი სიყვარული. გალაკტიონის ხასიათი. შემოქმედება. გალაკტიონისა და ტიციანის ურთიერთობა. ტიციანის ოჯახი. გალაკტიონი ოჯახში. მეუღლე. გალაკტიონი რუსეთში. რაიონებში გასვლა. ავადმყოფობა. უკანასკნელი დღეები. სიკვდილი...

...მაგონდება როგორი გულისხმიერებით გადაჰქონდა ფურცელზე ეს საკითხები იმ დღეს **გიორგი ლეონიძეს** და გამომიწოდა, როგორც ერთგვარი მეგზური დიდი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ მასალათა, მოგონებათა შესაკრებად. პოეტის მისაღებ კაბინეტში მაგიდაზე, რომელიც საქაღალდეებით, და ქაღალდებით, წიგნებით, რვეულებით იყო დაფარული, ხმირად ვხედავდი სქელტანიან, ყავისფერყდიან წიგნს — ეს იყო 1953 წელს გამოცემული გალაკტიონ ტაბიძის რჩეული ლექსების კრებული. მომისმენია რა სიამით კითხულობდა იგი გალაკტიონის ლექსებს „მარმარილო“, „კაფეში“, „მე მივდიოდი“, „ქარი მოგონებათა“, „ყვითელი ფოთოლი“...

— ეურნალ „მნათობში“ იბეჭდებოდა გალაკტიონ ტაბიძის ერთ-ერთი პოემა, იხსენებდა პოეტი 1966 წლის გაზაფხულის მიწურულს. რედაქციაში მაშინ კორექტორად მუშაობდა რაღდენ გვერდაძის მეუღლე ნინო. არ მოეწონათ პოემის რამდენიმე სტროფი და უნდოდათ ამოეღოთ, მაგრამ ამის თქმას ვერ უბედავდნენ გალაკტიონს. ბოლოს, ნინომ თქვა, მე თვითონ ამოვიღებ პოემიდან ამ სტროფებს ისე, რომ გალაკტიონი ყურადღებას არ მიაქცევსო. ასეც მოიქცა. გალაკტიონმა დაბეჭდვამდე მართლაც ვერ გაიგო ეს და შემდეგ, როცა უთქვამთ, გაღიმებია, კარგი გიქნიათ, ძამიკო, კარგი.

ერთხელ, 1913 წელს, სემინარიელი რომ ვიყავი — მიამბობდა გიორგი ლეონიძე, — ბიბლიოთეკიდან წავიღე ბაირონი. წიგნს ეწერა — გალაკტიონ ტაბიძე. მას, როგორც ჩანს, წაეკითხა ეს წიგნი და თავისი სახელი და გვარიც მოეწერა ზედ. მთელი წიგნი — ლექსები, პოემები, ფანქრით იყო გახაზული, თან შენიშვნებიც მიეწერა.

1912 წელს გაზეთ „თემში“ დაიბეჭდა გალაკტიონის პოემა „მწყემსი“, რომლის შესავალი მან იოსებ გრიშაშვილს მიუძღვნა. ამ პოემაში ბევრი რამ გამოუყენებია ბაირონის პოემებიდან.

გალაკტიონ ტაბიძეს სახელი გაუთქვამს მისმა პირველმა და მეორე წიგნმა. ერთხელ მე, პაოლო და ტიციანი ვკითხულობდით გალაკტიონის მეორე წიგნს და ნიშნებს ვუსვამდით მის ლექსებს. იმ ხანებში ქუთაისში უნდა გამართულიყო იოსებ გრიშაშვილის ლიტერატურული საღამო. ქუთაისელი მწერლები გალაკტიონის მეთაურობით სადგურზე დახვდნენ მას. გალაკტიონს ქუდი არ ეხურა. იმ დროისათვის გრიშაშვილი უკვე გამოსული პოეტი იყო. გალაკტიონი რომ ულუდოდ ნახა, მზრუნველი კილოთი უთხრა:

— გაცივდებით, დაიხურეთ ქუდი. — გრიშაშვილს ეგონა, გალაკტიონი მის პატივსაცემად იყო თავშიშველი...

1911 წელს გალაკტიონ ტაბიძე სემინარიიდან გარიცხეს. სემინარიიდან წასვლის შემდეგ მას მასწავლებლად დაუწყია მუშაობა ზემო იმერეთში. მაშინ დაწერა კარგი ლექსი „მასწავლებელი“, რომელიც იმავე წელს დაიბეჭდა ეურნალ „განათლებაში“.

ადრე, გრიბოედოვის თეატრის უკან, ეზოში, საზაფხულო ბაღი „ქართული კლუბი“ იყო, სადაც საღამოობით სეირნობა იმართებოდა. ვისაც საშუალება ჰქონდა, ვახშამსაც მართავდა.

ერთხელ გვიან საღამოს ბაღიდან გამოვდიოდი პაოლო იაშვილთან და ტიციან ტაბიძესთან ერთად; უცებ შევნიშნე, მოდის შესანიშნავ კოსტიუმში საგანგებოდ გამოწყობილი უცნობი. ერთმანეთს გადაეხვევენენ, მეც გამაცნეს. გალაკტიონი იყო. ეს იყო 1918 წელი, ჩემი პირველი შეხვედრა გალაკტიონთან. მაშინ ახალი დაბრუნებული იყო რუსეთიდან. მერე და მერე ხშირად ვხვდებოდით.

ალექსანდრე აბაშელმა ძალიან ბევრი რამ გააკეთა გალაკტიონის იუბილესათვის. მამასავით დასტრიალებდა თავს, საღამოზე მისასალმებელი სიტყვაც წარმოთქვა.

ერთხელ მე და გალაკტიონი ეზოში ვიყავით. ცხელოდა.

— ბიბლიოთეკიდან ბაირონი ... ეს ... ეს ... ეს